

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ. ვანი თავისუფლების N 65

26 ივნისი 2018 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია, თენგიზ დვალიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები:

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლების და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი - **თამარ ჟვანია**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1.ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლების და ტურიზმის განვითარების ცენტრის ანგარიშის მოსმენა 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მომხს: /თამარ ჟვანია/

2.ვანის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საჩინო“-ს დამფუძნებელ და ხელმძღვანელ დავით ნაფეტვარიძის განცხადების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს:/კობა ტოხვაძე/

3.სოფელ ფერეთას თემის მაცხოვრებლის ნატა მეფარიშვილის განცხადების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს:/კობა ტოხვაძე/

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ქალბატონმა თამარ ჟვანიამ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლების და ტურიზმის განვითარების ცენტრის ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ 2017 წელს ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

საახალწლო კონცერტი, ქალი და გაზაფხული, ქართული ხალხური საკრავების შემსწავლელი წრის შემაჯამებელი ღონისძიება, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.

26 მაისს სარაიონო ღონისძიებაში მონაწილეობა მივიღეთ ქორეოგრაფიული ნომრებით და ქარგვის, ქსოვის და ხელითნაკეთი ნივთების წრეების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენით.

მიმდინარე წელს ჩავატარეთ საახალწლო ღონისძიება (სოფელ შუამთის კულტურის ცენტრში), სადაც შესასვლელ დერეფანში მოეწყო ნაქარგების, ნაქსოვების და ხელითნაკეთი ნივთების გამოფენა. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა“ მოიპოვა საგზური ქ.ბულგარეთში.

ასევე 2018 წლის თებერვლის თვეში ქ.ქუთაისში ჩატარდა ქართული ეროვნული მუსიკის კონცერტი სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა მოსწავლემ. ერთი მოსწავლე ირაკლი გოგიბერიძე დაჯილდოვდა მეორე პრემიის ლაურეატის წოდებით.

უფრო ვრცლად ჩამონათვალის სია დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლების და ტურიზმის განვითარების ცენტრის ანგარიშის მოსმენა 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

/ დანართი N2/

დღის წერიგის მეორე და მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საჩინო“-ს დამფუძნებელ და ხელძღვანელ დავით ნაფეტვარიძის განცხადების შესახებ ინფორმაცია და სოფელ ფერეთას თემის მაცხოვრებლის ნატა მეფარიშვილის განცხადების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განცხადებები გადაეგზავნება ვანის მუნიციპალიტეტის მერიას და შესაბამისა მერიის სამსახური მოამზადებს შესაბამის პასუხს.

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა ვანის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საჩინო“-ს დამფუძნებელ და ხელძღვანელ დავით ნაფეტვარიძის განცხადების შესახებ ინფორმაცია და სოფელ ფერეთას თემის მაცხოვრებლის ნატა მეფარიშვილის განცხადების შესახებ ინფორმაცია.

/დანართიN3/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე